ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი

პროფესორი თამაზ მურთაზაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ლუიზა გურაშვილი



ასოცირებული პროფესორი თამარ ჩიკვილაძე

ასოცირებული პროფესორი ნინო იმნაძე

ასისტენტ-პროფესორი კობა სივსივაძე

ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი

ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრის სახელწოდებით ჩამოყალიბდა 1996 წელს. 2006 წელს კათედრას ეწოდა დეპარტამენტი.

ფარმაცევტული ქიმიის კათედრა, დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა 1931 წელს და მისი ხელმძღვანელობა მიენდო პროფესორ ნიკოლოზ მასხულიას. 1942-1973 წლებში კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი არისტარხ მშვიდობაძე, ხოლო 1973-1996 წლებში – პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე.

სასამართლო ქიმიის კათედრა ჩამოყალიბდა 1922 წელს. 1925 წელს იგი გადაკეთდა სასამართლო და ანალიზური ქიმიის კათედრად, რომელსაც, 1959 წლამდე ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე. 1959 წელს კათედრას ეწოდა ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრა, რომელსაც 1959-1972 წლებში ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი, ხოლო 1972-83 წლებში პროფესორი თინათინ ფიჩხაია. 1983 წლიდან სასამართლო ქიმია გამოეყო ორგანული ქიმიის კათედრას და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების კურსთან ერთად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ კურსად სახელწოდებით "ტოქსიკოლოგიური ქიმია-ანალიზის ინსტრუმენტალური მეთოდებით", რომელსაც რეორგანიზაციამდე - ფარმაცევტული და ტოქსიკო-ლოგიური ქიმიის კათედრის ჩამოყალიბებამდე (1996 წლამდე) - სათავეში ედგა პროფესორი რომან მახარაძე. 1996 წლიდან პროფესორი რომან მახარაძე დაინიშნა უკვე გაერთიანებული, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრის (2006 წლიდან - ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი), ხელმძღვანელად. 2016 წლიდან დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი თამაზ მურთაზაშვილი.

1996 წლის ნოემბერში გაერთიანდა ფარმაცევტული ქიმიის კათედრა და კურსი - ტოქსიოკლოგიური ქიმია - ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდებით. გაერთიანებულ კათედრას ეწოდა "ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრა”.

სხვადასხვა დროს ტოქსიკოლოგიურ (სასამართლო) ქიმიას ასწავლიდნენ პროფესორ-მასწავლებლები: ქ. მუჯირი, ნ. ჟღენტი, ე. ჯაფარიძე, მ. ჯანიაშვილი, ვ. ბოსტოღანაშვილი, კ. გამსახურდია, შ. ღლონტი თ. ფხეიძე, ს. უჯმაჯურიძე, თ. ზურაბაშვილი, ნ. იობაშვილი, ლ. ადეიშვილი, მ. ქურციკიძე და სხვ.

ფარმაცევტული ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდნენ: პ. ჭუმბურიძე, მ. წუ-ლაია, ლ. ესებუა, ვ. საყვარელიძე, ი. ენუქიძე, ო. სარჯველაძე, ვ. ბენდიანი¬შვი¬ლი, ი. ნატროშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. პულუზაშვილი, ქ. ბარამიძე, გ. ანთაძე, შ. ფირ-ცხა¬ლავა, მ. ხუციშვილი, ლ. სურმავა და სხვ. დეპარტამენტში ისწავლება შემდეგი დისციპლინები: ფარმაცევტული ქიმია, ტოქსიკოლოგიური ქიმია, ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები, ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები, ფარმაცევტული ანალიზი.

ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო და არის წამალთა ანალიზის მეთოდების დამუშავება და არსებულის გაუმჯობესება, სამკურნალო პრეპარატების ფარმაკოკინეტიკური კვლევა, სამკურნალო საშუალებებისა და მათი მეტაბოლიზმის პროდუქტების ბიოლოგიურ სითხეებში განსაზღვრის მეთოდების შემუშავება, ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევა,ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშულებების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ახალი მეთოდების შემუშავება და არსებულის სრულყოფა.

დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა “ფარმაცევტული ანალიზი”, გამოცემულია ახალი სახელმძღვანელოები.